საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაკიანი სტეფანე გრიგორის ძე

კაპანაკიანი სტეფანე გრიგორის ძე (8. II. 1877, თბილისი, – 4. V. 1944, იქვე), სომეხი რეჟისორი. საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1940). 1900 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. იმავდროულად ესწრებოდა დრამატულ კურსებს. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში. 1904-იდან იყო თბილ. სომხური დრამ. საზ-ბის რეჟისორი. აქ კ-მა, სომხ. თეატრში პირველად, დადგა მ. გორკის „ფსკერზე" (1908). 1921 მან რეჟისორ ლ. კალანტართან ერთად თბილისში დააარსა სომხ. თეატრი (იხ. თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი). 1921–22 სასცენო მეტყველებას ასწავლიდა სომხ. დრამ. სტუდიაში (მოსკოვი). მთ. რეჟისორად მუშაობდა თბილ. სომხ. დრამ. თეატრში (1923–26, 1930–37), ბაქოს სომხ. თეატრში (1926–27), თბილ. სომხ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში (1937–44). კ-ის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო სომხ. სათეატრო კულტურის ამაღლებას, ეროვნ. სამსახიობო ხელოვნებაში რეალიზმის გაღრმავებას. თბილ. სომხ. თეატრში დადგმული გამორჩეული სპექტაკლებია: ჰ. ბერგერის „წყალდიდობა" (1923), ფ. შილერის „ვილჰელმ ტელი" (1924), ა. ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩაღებლები" (1924), ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი" (1936) და სხვ.